ახალი ხარაგაული

№315 (07), 23 მარტი, 2016 წ.

დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში დადებითად შეაფასეს

14 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს და საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- მრეწველების“ თავმჯდომარემ, იუზა კელენჯერიძემ, მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში დადებითად შეაფასა და მადლობა გადაუხადა გამგეობის გუნდს იმ ნაყოფიერი მუშაობისთვის, რაც მათ 2015 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის გასწიეს. ფრაქციის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით გატარებულ ღონისძიებებს და დასძინა, რომ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში სერიოზული ძვრებია დაწყებული.

პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, ქეთევან ზუმბაძემ, ანგარიშის მოსმენის შემდეგ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, მოხსენებაში პრობლემებზეც ყოფილიყო საუბარი: „თქვენ ბევრი ისეთი პროექტი გააკეთეთ, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალტეტს გამოადგება. საბავშვო ბაღების მიმართულებით მნიშვნელოვანი ძვრებია დაწყებული. კარგი იქნება, თუ ყურადღებით მოეკიდებით ინდმეწარმეების შერჩევას და მათთან ხელშეკრულების დადებას. კიდევ ერთხელ ვისაუბრებ ღია ესტრადის რეაბილიტაციაზე. ამ შენობას ბევრი პრობლემა აქვს და მაინტერესებს, როგორ აპირებთ, ან რა თანხით, იქ არსებული ხარვეზების აღმოფხვრას?“

„ღია ესტრადასთან დაკავშირებით ხარვეზი მართლაც არსებობს, რომელიც აუცილებლად გამოსწორდება ყოველგვარი მუნიციპალური დანახარჯების გარეშე“-განუმარტა გამგებელმა ქეთევან ზუმბაძეს - „რაც შეეხება საბავშვო ბაღებს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს საბავშვო ბაღებში აღსაზრდელები ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რომელიც პრაქტიკულად დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს. 2013 წლიდან მუნიციპალიტეტში 7 ახალი საბავშვო ბაღი აშენდა და რეაბილიტირდა. ბავშვებისათვის შეიქმნა ახალი გარემო და მათზე ზრუნვა კვლავ გრძელდება. მიმდინარე წელს კიდევ რამდენიმე სკოლამდელი დაწესებულების აშენება იგეგმება,“ - აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიშს საკრებულოს სხდომაზე სხვა დეპუტატებიც გამოეხმაურნენ და თავიანთი შეფასებები წარმოადგინეს. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, გამგებლის გასული წლის ანგარიში დადებითად შეაფასა და რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გააამახვილა ყურადღება.

„დადებითად ვაფასებ გამგებლის გასული წლის მუშაობას, რისი თქმის საფუძველსაც ის სოციალურ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და კულტურული პროექტების განხორციელება მაძლევს, რაც მუნიციპალიტეტში გაკეთდა. სხვადასხვა ფონდიდან თანხების დროული ათვისება მოხდა და სამუშაოებიც ხარისხიანად შესრულდა. მინდა, გამოვთქვა ჩემი შენიშვნა-რეკომენდაციები: 2015 წელს 13 300 ლარი დაიხარჯა მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად. აღმოჩნდა, რომ ეს საკმარისი არაა. მუნიციპალური ტრანსპორტით დაბის გარდა სხვა ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობამაც უნდა ისარგებლოს. გარდა ამისა, ჩემი აზრით, აუცილებელია, მოხდეს ა(ა)იპ-ების ოპტიმიზაცია. თანხები უფრო რაციონალურად უნდა გახარჯონ და მათი საქმიანობა სოფლის მოსახლეობამაც უნდა გაიცნოს. მაგალითად, ა(ა)იპ „კულტურის ცენტრი“ მთელი ხარაგაულისაა და არა მარტო დაბის. ასევე საჭიროა მუნიციპალიტეტის სოფლებში ნაგვის ბუნკერების დამატება. გვიანდება ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ქონების ინვენტარიზაციის პროცესი. დროულად არ ხდება პრივატიზების პროცესი. მიზანშეწონილია დაბის ცენტრა-

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

15 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანშვილმა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი. მემორანდუმს ასევე ხელი მოაწერეს იმერეთის რეგიონის 12 მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა. ღონისძიებას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ღავთაძე და სტუდენტები ესწრებოდნენ.

მემორანდუმის მიზანია, ხელი შეუწყოს აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავშირების გაღრმავებას იმერეთის რეგიონის საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.

მემორანდუმის თანახმად, უნივერსიტეტი და მუნიციპალიტეტი მუდმივად განავითარებენ კონტაქტებს და გამართავენ კონსულტაციებს ურთიერთობების დამყარების, განათლების და სამეცნიერო სფეროებში ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით. მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის თანამშრომლებს, სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს კვლევის ჩატარებაში.

თავის მხრივ, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოხატავს კეთილ ნებას და საჭიროების შემთხვევაში მიაწვდის მუნიციპალიტეტს შესაბამისი დარგის მაღალკვალიფიციურ ექსპერტებს.

ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საშუალება მიეცემათ, შესაბამისი მუნიციპალიტეტების გამგეობებში სტაჟირება გაიარონ. მიღებული პრაქტიკული გამოცდილება კი მომავალში კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივას გაზრდის.

ჩეხეთის ელჩმა ჯიცხში “ENPARD”-ის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული კოოპერატივები მოინახულა

ჩეხეთის ელჩმა საქართველოში ტომას პერნიცკმა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ნოდარ კერესელიძემ, კოოპერატივების განვითარების თავმჯდომარე, გიორგი მიშველაძესთან და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელ კობა ლურსმანაშვილთან ერთად სოფელ კიცხში „ENPARD“-ის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული კოოპერატივები — „სარგო“ და „მეღვინეობა - კიცხი“ დაათვალიერეს და ნატურალური პროდუქციის წარმოების პროცესს ადგილზე გაეცნენ.

რძის გადამამუშავებელი კოოპერატივი „სარგო“ უკვე რამდენიმე თვეა ფუნქციონირებს და პროდუქციის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე ახორციელებს. კოოპერატივში შვიდი მეპაიეა გაერთიანებული. „სარგომ“ 35 000 ევრომდე მოცულობის გრანტი მიიღო, რომლითაც რძის 2 გამაციებელი, პასტერიზატორი და რძის დოზატორი შეიძინეს.

„პროექტის დაფინანსება 35 000 ევროს ფარგლებში მოხდა. რა თქმა უნდა, ჩვენც მივიღეთ თანამონაწილეობა. ამჟამად ვაწარმოებთ მხოლოდ ორ პროდუქტს: მაწონსა და რძეს, რომელიც ნატურალური ნედლეულით მზადდება. ვფიქრობთ, მომავალში წარმოებას უფრო გავაფართოებთ“- ამბობს კოოპერატივის დამფუძნებელი გიორგი გველესიანი.

კოოპერატივი „მეღვინეობა კიცხი“ მომავალი წლის შემოდგომაზე ამოქმედდება. მისი ძირითადი საქმიანობა მეღვინეობა - ციცქასა და ცოლიკაურის ჯიშის ყურძნისგან ღვინის დაყენება, ჩამოსხმა და ჭაჭის არყის გამოხდაა.

,,დღეს ჩვენ იმერეთში რამდენიმე კოოპერატივს ვესტუმრეთ. მათ შორის, დავათვალიერეთ კოოპერატივი ,,სარგო“ და ,,მეღვინეობა კიცხი“. კოოპერატივი „სარგო“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოების მიერ ოფიციალურადაა რეგისტრირებული და რძის პროდუქტებს აწარმოებს. პროექტები, რომლებიც „ENPARD“-ის პროგრამის ფარგლებშია დაფინანსებული, დღეს ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩთან ერთად მოვინახულეთ.“ - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ნოდარ კერესელიძემ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, მადლობა გადაუხადა ბატონ ელჩს და სამინისტროს წარმომადგენლებს ხარაგაულში ასეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისთვის. „პროექტი ევროკავშირისა და ჩეხეთის რესპუბლიკის დახმარებით ხორციელდება და, რა თქმა უნდა, სახელმწიფო მხარს უჭერს მსგავსი იდეების განხორციელებას. სოფელ კიცხში სულ მალე ფუნქციონირებას დაიწყებს მეორე კოოპერატივი „მეღვინეობა კიცხი“. ასეთი პროექტების განხორციელება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობა გაუმჯობესდეს, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების პრობლემის მოგვარებას”- აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა.

კოოპერატივი “მეღვინეობა - კიცხის” პროექტის ავტორის, ჰამლეტ ბერაძის, განმარტებით, ღვინის ქარხანაში მოხდება, როგორც ღვინის დაწურვა, ასევე ღვინის ბოთლებში ჩამოსხმა. „ღვინოს დავაყენებთ, როგორც ქვევრებში, ასევე - ევროპული წესით. გვეხმარება ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“. 35 000 ევროს ფარგლებში ტექნიკას გადმოგვცემენ გარკვეული ვალდებულებების შესრულების სანაცვლოდ. რაც შეეხება შენობას, მისი აშენება კოოპერატივში გაერთიანებული წევრების დაფინანსებით მოხდება“ - განმარტავს ჰამლეტ ბერაძე.

„ENPARD“-ი ევროპის სამეზობლო 5 წლიანი პროგრამაა, რომელსაც საქართველოში ჩეხური ორგანიზაცია PIN-ი ახორციელებს.

ეკა შავიძე

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შეხვედრები მიმდინარეობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით შეხვედრები გაიმართა. შეხვედრებს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები: დავით დევდარიანი, თეიმურაზ ჩხეიძე, გამგებლის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, მაჟორიტარი დეპუტატები, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი მალხაზ ფხალაძე და წარმომადგენლებთან კოორდინირების განყოფილების უფროსი გია ჭიპაშვილი ესწრებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ადგილობრივი ხელისუფლების თანამონაწილეობა საინფორმაციო ხასიათს ატარებს. თანხის ათვისება სოფლად მცხოვრებთა საჭიროებისამებრ ხდება და ადგილობრივები თავად განსაზღვრავენ, რა უნდა გაკეთდეს სოფლის განვითარებისათვის.

თავდაპირველად შეხვედრა ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში შედგა. შეხვედრის დასაწყისში, ამავე თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა, მანანა ბარბაქაძემ, დამსწრე საზოგადოებას „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ბორითის ადმინისტრაციული ერთეულისათვის გამოყოფილი თანხების ოდენობა გააცნო და პრიორიტეტების დასახელება სთხოვა. მოსახლეობამ სხვადასხვა პროექტზე იმსჯელა. ყველას მიეცა საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა. უბისის მცხოვრებლებმა პრიორიტეტად სარიტუალო დარბაზისთვის ინვენტარის შეძენა და სველი წერტილის მოწყობა დააასახელა, ასევე ძინძიბაურის უბანში გზის ერთი მონაკვეთის მობეტონება. სარიტუალო დარბაზისთვის ჭურჭელს შეიძენენ სოფელ მაქათუბანსა და საქასრიაში. მაქათუბნის სარიტუალო დარბაზში, მოეწყობა სამზარეულო და რამდენიმე უბანში გაინმინდება გზა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შეხვედრა გაიმართა ღორეშის ადმინისტრაციულ ერთეულშიც. შეხვედრის დასაწყისში გამგებლის მოადგილემ, დავით დევდარიანმა, იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა, რომლის განხორციელებაც 2016 წელს ღორეშის ადმინისტრაციულ ერთეულში იგეგმება.

„მიმდინარე წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება უბისა-ღორეშის საავტომობილო გზას (სოფელ უბისის საავტომობილო ხიდიდან სოფელ ღორეშის ადმინისტრაციულ ცენტრამდე). პროექტის ღირებულება 1 139 778 ლარია. სამუშაოების შესყიდვის მიზნით ტენდერი უკვე დასრულებულია და გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება. ღორეშაში ასევე იგეგმება საბავშვო ბაღის მოწყობა,“- აღნიშნა დავით დევდარიანმა.

შეხვედრაზე მოსახლეობამ მათი სოფლისათვის პრიორიტეტული პროექტები დაასახელა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ გამოყოფილი თანხებით ღორეშლებმა საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა, წყლის მილების შეძენა და ტრაქტორით შიდა საუბნო გზების მოწესრიგება გადაწყვიტეს.

რაც შეეხება ვარძიის ადმინისტრაციულ ერთეულს, ადგილობრივების გადაწყვეტილებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხა ვარძიის სასაფლაოსთან მიმავალ 100 მეტრიანი გზის მობეტონებასა და ამავე მონაკვეთზე გარე განათების მოწყობას მოხმარდება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 685 310 ლარია გამოყოფილი. აქედან 118 000 ლარი კიცხის საზოგადოებრივი სახლის მშენებლობის დასრულებისთვის მიიმართა, დანარჩენი თანხა კი სოფლებზე, ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით გაიცა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში შეხვედრები 15 მარტიდან დაიწყო და 26 მარტს დასრულდება.

რა პროექტების განხორციელდება დაიგეგმება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ამის შესახებ სრული ინფორმაცია იხილეთ „ახალი ხარაგაულის“ შემდეგ ნომერში.

ეკა შავიძე

ხარაგაულში მუნიციპალიტეტის გამგებლის, ჯობა ლურსმანაშვილის, ანგარიში დადებითად შეაფასეს

დასაწყისი პირველ გვერდზე

ლურ პარკში განთავსდეს ატრაქციონები ბავშვების გასართობად. აუცილებელია, რამდენიმე საერთო საცხოვრებელი სახლის გადახურვისთვის თანხების მობილიზებაც მოვახდინოთ“ - აღნიშნა დეპუტატმა, ვარლამ ჭიპაშვილმა.

კობა ლურსმანაშვილი (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი): „მუნიციპალურ ტრანსპორტთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ პრობლემის მოსაგვარებლად პირადად ვესაუბრე ქ. თბილისის მერს, დავით ნარმანიას. გაჩნდა შესაძლებლობა, რომ უახლოეს მომავალში თბილისიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის ტრანსპორტი გამოიყოს. რაც შეეხება ნაგვის ურნებს, ვგეგმავთ შეძენას და იმ ტერიტორიებზე განთავსებას, სადაც ამის საჭიროებაა.“

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის გელა გოლუბიანის თქმით, აუცილებელია ვიყოთ თვითკრიტიკულები და გამოვასწოროთ ის პრობლემები, რაც არსებობს. ფრაქციის თავმჯდომარის განმარტებით, სულ ახლახანს, გაკეთებული წყლის სისტემა, რომელშიც რამდენიმე ათასი ლარია გადაყრილი, ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია. შესაცვლელია ახლად გარემონტებული კინო-თეატრის სახურავიც.

სხდომაზე რამდენიმე უბანში დაზიანებული გზის ამსახველი ფოტომასალა წარმოადგინა საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, თორნიკე ავალიშვილმა და განმარტა, რომ ხშირ შემთხვევაში გზები უხარისხოდ კეთდება.

კობა ლურსმანაშვილი (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი): „ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ისეთ სოფლებში გაკეთდა გზები, სადაც ასფალტი არასოდეს არ ყოფილა. რა თქმა უნდა, ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში გზის პრობლემა ისევ რჩება, მაგრამ ჩვენ ეტაპობრივად მივყვებით და აუცილებლად მივალთ ბოლომდე. ბატონო თორნიკე, თქვენი დღევანდელი გამოსვლა კი სრულად შეესაბამება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კურსს - წარმოაჩინოს ყველაფერი უარესობით. თქვენ მიერ წარმოდგენილი პრობლემებიდან ერთი მაინც რომ შეესაბამებოდეს სიმართლეს, ჩვენ აუცილებლად მოვახდენთ მყისიერ რეაგირებას.“ - მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელმა თორნიკე ავალიშვილს.

თორნიკე ავალიშვილის განცხადებას საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილიც, გამოეხმაურა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან უხარისხოდ გაკეთებულ პროექტებზე საუბარი სირცხვილია. რაც ბოლო სამი წლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში განხორციელდა, თქვენი ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში მისი მეოთხედიც არ გაკეთებულა. შესაძლოა, თქვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ხარაგაულში, ინფრასტრუქტურული მიმართულებით, რაღაც მინიმუმი გაკეთდა, მაგრამ ადამიანებმა დაკარგეს მთავარი - თავისუფლება“.

ხარაგაულის მუნციპალიტეტის გამგებლის წარმატებულ საქმიანობაზე ისაუბრა საღანძილის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით კიკნაძემ: ,,ბევრი კარგი პროექტი განხორციელდა. ამის არდანახვა არ შეიძლება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ასეთი დიდი ბიუჯეტი არასდროს ჰქონია. ყოველივე ეს კი მუნიციპალიტეტის გამგებლის და მისი გუნდის დამსახურებაა. მინდა, მადლობა გადავუხადო გამგეობის სოციალურ სამსახურს. საღანძილის ადმინისტრაციული ერთეულიდან ბევრმა მოქალაქემ ისარგებლა გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური პაკეტებით“ - აღნიშნა დავით კიკნაძემ და მან იმ პრობლემაზეც ისაუბრა, რომელმაც სოფლად, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სტატუსის შეწყვეტა გამოიწვია.

კობა ლურსმანაშვილის განმარტებით, ადგილობრივი თვითმმართველობა ოჯახისთვის სოციალურად დაუცველი სტატუსის მოხსნასა და დანიშვნაში ვერ ერევა, თუმცა პრობლემის გადაჭრის მიზნით მას არაერთხელ ჰქონდა საუბარი ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან.

,,არაერთი შუამდგომლობა გავაგზავნე სოციალურ სააგენტოში, რათა ხელმეორედ მოახდინონ იმ ოჯახების გადამოწმება, რომლებსაც მოხსნილი აქვთ სოციალური დახმარება. საერთოდ გადასახედია შეფასების ახალი კრიტერიუმი“ - დასძინა კობა ლურსმანაშვილმა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მუშაობა დადებითად შეაფასა საკრებულოს ფრაქცია „ქართული-ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა. „ვამაყობ, რომ ვარ „ქართული-ოცნების“ გუნდის წევრი, იმ გუნდის, რომელმაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატად კობა ლურსმანაშვილი შეარჩია. შემდგომ კი მოსახლეობამ მას ნდობა და მხარდაჭერა გამოუცხადა. ჩვენი მუნიციპალიტეტი არის წარმატებული და ამ წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის კობა ლურსმანაშვილს.“ - განაცხადა ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა.

საბოლოოდ, საკრებულოს სხდომაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, გასული წლის მუშაობის ანგარიში დეპუტატების უმრავლესობის მიერ დადებითად შეფასდა. გამგებლის მუშაობის დადებითად შეფასების წინაალმდეგი იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო რესპუბლიკელებმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს.

მარიანა ბურჯალიანი

ბორის სკოლა-პანსიონის ბაზაზე არსებული „დღის ცენტრის“ სათანადო ინვენტარით აღჭურვისთვის ბიუჯეტიდან 8 000 ლარი გამოიყო

17 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, ა(ა)იპ განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრ „თაირისთან“ ხელშეკრულება გააფორმა. ხელშეკრულება ბორის სკოლა - პანსიონის ტერიტორიაზე არსებული ფართის "თაირისისათვის" ორი წლის ვადით უსასყიდლო -უზუფრუქტის წესით გადაცემას ითვალისწინებს. ღონისძიებას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მანანა ბარბაქაძე, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე, ბორის სკოლა-პანსიონის დირექტორი ჰამლეტ ბერაძე და განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის ,,თაირისის“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი „თაირისი“ ბორის სკოლა-პანსიონის ბაზაზე არსებულ „დღის ცენტრში“ შშმ ბავშვთა და ზრდასრულთა დღის ცენტრების პროგრამებს განახორციელებს. ასევე, ხარაგაულში მცხოვრები შშმ პირთათვის განხორციელდება ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამები.

„დღის ცენტრის“ შექმნა ხარაგაულში მნიშვნელოვანი პროექტია. მუნიციპალიტეტის გამგეობა „თაირისთან“ თანამშრომლობას მომავალშიც გააგრძელებს და, ვფიქრობ, ერთობლივი ძალისხმევით არაერთი სასიკეთო პროექტის განხორციელებას შევძლებთ. ბორის სკოლა - პანსიონში რეაბილიტაცია ჩაუტარდა „დღის ცენტრისთვის“ განკუთვნილ ფართს. რაც შეეხება ცენტრის საჭირო ინვენტარით აღჭურვას, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ამისთვის 8 ათასი ლარი გამოიყო. უახლოეს მომავალში შესაძლებელი იქნება, რომ „დღის ცენტრმა“ რეაბილიტირებულ და მოწესრიგებულ ფართში დაიწყოს ფუნქციონირება.“- აღნიშნა შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა.

განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის ,,თაირისის“ დამფუძნებლის, ირინე აბდალაძის, თქმით, ბორის სკოლა - პანსიონის ბაზაზე არსებული დღის ცენტრის ფართი გარემონტებული და ადაპტირებულია. ,,ცენტრში უნდა შეიქმნას ადაპტირებული გარემო. ბატონმა კობამ გამოხატა კეთილი ნება და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფართის საჭირო ინვენტარით აღჭურვაში დაგვეხმარება. ცენტრის კეთილმოწყობის შემდეგ ჯანდაცვის სამინისტროში მოხდება მისი სოციალური სერვისის მიმწოდებლად დარეგისტრირება და „დღის ცენტრი“ ფუნქციონირებას დაიწყება,” - დასძინა ქალბატონმა ირინემ.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, სურვილი გამოთქვა, ბორის სკოლა-პანსიონში არსებული დღის ცენტრის ბაზაზე განხორციელდეს ახალი სოციალური პროგრამა, რომელიც უსინათლოებისთვის ბრაილის შრიფტით სწავლებას ითვალისწინებს. ბორის სკოლა-პანსიონის დირექტორის, ჰამლეტ ბერაძის განმარტებით, შენობაში ამისათვის არის შესაბამისი ფართი, რომელიც რეაბილიტაციას საჭიროებს.

დასასრულ, ირინა აბდალაძემ გამგებელს, კობა ლურსმანაშვილს, ნდობისა და მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა. „დიდი მადლობა, რომ ასე ზრუნავთ შშმ პირებზე. თქვენ დიდი წვლილი შეიტანეთ ესოდენ სასიკეთო საქმის განხორციელებაში. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ჩვენ, ერთად არაერთ მნიშვნელოვან საქმეს გავაკეთებთ.“

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ხიდრის მოსახლეობას შეხვდა

17 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებლებს შეხვდა. „სოფლის მხარადაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრას გამგებლის მოადგილე, დავით დევდარიანი, კოორდინირების განყოფილების უფროსი გია ჭიპაშვილი, გამგებლის წარმომადგენელი ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში ბადრი ბერაძე და ხიდრის მაჟორიტარი დეპუტატი, ნონა ზურაბიანი, ესწრებოდნენ.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მიმდინარე წელს ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულს 18 000 ლარი გამოეყო. ამ თანხით, ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილმა პრიორიტეტად შიდა გზების რეაბილიტაცია დასახელა, თუმცა უმეტესობამ აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ეს თანხა სარიტუალო დარბაზის დასრულებას მოხმარდებოდა, რომელიც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში უკვე აშენებულია. საბოლოოდ, უმრავლესობის გადაწყვეტილებით, თანხა სარიტუალო სახლის დასასრულებლად დაიხარჯება. რაც შეეხება შიდა საუბნო გზებს, მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, განაცხადა, რომ ამ ეტაპზე სოფლის ცენტრიდან სასაფლაომდე მისასვლელი გზის შეკეთებას ადგილობრივი ბიუჯეტი უზრუნველყოფს.

შეხვედრაზე განიხილეს, თუ როგორ მოემსახურება ხიდრის სარიტუალო სახლი მოსახლეობას. როგორც კობა ლურსმანაშვილმა განმარტა, გამგეობა სარიტუალო სახლს ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობის უფლებით გასცემს. შენობას ეყოლება პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს მის მოვლა—ფუნქციონირებას, ხოლო ადგილობრივები გარკვეული გადასახადის სანაცვლოდ მიიღებენ მომსახურებას.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ასევე ისაუბრა ხე-ტყის მოპოვებასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და სოციალურ დახმარებებზე, რომლებიც, მოსახლეობის აზრით, უსამართლოდ გაიცემა. კობა ლურსმანაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები მუნიციპალიტეტისათვის ტყის გარკვეული ნაწილის გადმოცემის თაობაზე, რის შემდეგაც ადგილობრივების მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდება. რაც შეეხება სოციალური დახმარების დანიშვნას, როგორც კობა ლურსმანაშვილმა განმარტა, ამ საკითხში ადგილობრივი თვითმმართველობა ვერ ერევა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ყურადღება იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც გაამახვილა, რომლებიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ხორციელდება და მოსახლეობას ამცნო, რომ სულ მალე კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში საზოგადოებრივი სახლი გაიხსნება. სერვის ცენტრის გახსნით ადგილობრივები ბევრ შეღავათს იგრძნობენ,მათ გაუმარტივდებათ საჭირო მომსახურების მიღება.

„ჩვენ ეტაპობრივად ვაწესრიგებთ იმ პრობლემებს, რომლის წინაშეც ჩვენი რაიონის მოსახლეობა დგას. რა თქმა უნდა, ყველაფერი ერთად ვერ გაკეთდება, თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მეტად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. მიმდინარე წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 2 364 578 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შვიდი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება. მოხდება უბისა—ღორეშის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სოფელ უბისის საავტომობილო ხიდიდან სოფელ ღორეშის ადმინისტრაციულ ცენტრამდე. პროექტის ღირებულება 1 139 778 ლარია; დაგეგმილია დაბის N2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაც, რომელზეც 132 288 ლარი დაიხარჯება; სოფელ ხევის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის 84 274 ლარია გამოყოფილი; სოფელ ღორეშის, წიფისა და მოლითის საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის პროექტის ჯამური თანხა კი - 157 165 ლარით განისაზღვრა; ხარაგაული—ბაზალეთის გზის რეაბილიტაციის პროექტი ადმინისტრაციული ცენტრიდან სოფელ ღარიხევის გადასახვევამდე 273 420 ლარს შეადგენს; გზის დამცავი კედლების მოწყობისათვის დაიხარჯება 103 290 ლარი; ასევე მოხდება სოფელ გედსამანიის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულება 474 362 ლარია“- აღნიშნა შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა,კობა ლურსმანაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში ძალზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. კერძოდ, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელ გზას. 3 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობისთვის რეგიონული განვითარების ფონდიდან 672 056 ლარი გამოიყო. სოფელ ხიდარში ასევე აშენდა ახალი საბავშვო ბაღი. სოფელში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ წელს პირველად დაიწყო ფუნქციონირება. ბაღი 25 ბავშვზეა გათვლილი და მასში 10-ზე მეტი ადგილობრივია დასაქმებული. განხორციელებული სამუშაოებისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან 101 661 ლარი დაიხარჯა.

„ჩვენ ვზრუნავთ სოფელზე, გვესმის თქვენი საჭიროებები და გვჯერა,რომ ნაბიჯ-ნაბიჯ ყველა პრობლემას აღმოვფხვრით“, - დასძინა შეხვედრის დასასრულს მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა.

ეკა შავიძე

ღარიხევში სოფლის პროექტით გზის გარკვეულ მონაკვეთზე მეტონის საფარი დაიგება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარადაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო. პირველი შეხვედრა ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ღარიხევსა და ნიფში გაიმართა. ადგილობრივებს „სოფლის მხარადაჭერის პროგრამის“ შესახებ ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი ვარლამ ჭიპაშვილი და გამგებლის წარმომადგენელი ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, თენგიზ ჭიპაშვილი ესაუბრენ. ორივე სოფლის მოსახლეობა საერთო პროექტზე შეჯერდა. უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სოფელ ღარიხევში გზის გარკვეულ მონაკვეთზე ბეტონის საფარი დაიგება. შეგახსენებთ, რომ წიფის მოსახლეობას „სოფლის მხარადაჭერი პროგრამის“ ფარგლებში 4 ათასი, ხოლო ღარიხევის მოსახლეობას -5 ათასი ლარი გამოეყო.

ხარაგაულში გზების სარეაბილიტაციოდ ტენდერი გამოცხადდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 14 მარტს გზების სარეაბილიტაციოდ სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერი გამოაცხადა. ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში მოწესრიგდება საავტომობილო გზა ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, შეკეთდება ჯაფარეულის ცენტრალური გზის დაზიანებული მონაკვეთი და დეკანოსიძის ქუჩაზე მოეწყობა წყალამრიდი არხი. სამუშაოების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 9246 ლარს შეადგენს.

სატენდერო წინადადებების მიღება 6 აპრილს დასრულდება.

სიტყვის ჩუქურთმა „ოდილას" სიმღერების ფონზე

„-ეს რა ღვთიური მადლის შადრევანი ამოჩუხჩუხებს ხარაგაულში; ასეთ ნიჭიერებას, მშვენიერებასა და სილაღეს როგორ იტევს ეს პატარა კუთხე... სად არ ვყოფილვარ, რა ანსამბლებს არ შევხვედრივარ, ორატორული ხელოვნებითაც ბევრჯერ მოვხიბლულვარ და სიმღერების შესრულების ჯადოსნურ ძალასაც დაუტყვევებივარ, მაგრამ, რაც 19 მარტს ჩვენს დედაქალაქში, ხალხური სიმღერისა და საკრავების ეროვნულ მუზეუმში ვიხილე, ყველა იმ მიჯნას სცილდება, რომელსაც რეალობა გვთავაზობს. ასე მგონია, ეს იყო ზღაპარი, მაგრამ აუხდენელი კი არა, ახდენილი ულამაზესი ზღაპარი..." - ამ სიტყვებით გაგვიზიარა თავისი შთაბეჭდილება რუსთაველის თეატრის ცნობილმა მსახიობმა ქალბატონმა ლამზირა ჩხეიძემ.

მინდა, მკითხველს მივაწოდო ინფორმაცია, რომ ზემოთ აღნიშნულ მუზეუმში (დირექტორი რევაზ კოტრიკაძე), თბილისის მერიის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონი „საგულისონის" (ხელმძღვანელი ცისანა ქოჩეჩაშვილი) და ამავე მუზეუმის ინიციატივით გაიმართა რეზო თაბუკაშვილის სახელობის ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელის, იზა ვეფხვაძის, წიგნების - „სულიკო ციმაკურიძე და ანსამბლი „ოდილა," „ფარცხნალი - კორიფეთა სამკვიდრო" - პრეზენტაცია.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ხარაგაულის კულტურული ცხოვრების წარმოჩენას გვერდით დაუდგა მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, რომლის ხელშეწყობითაც ამ მშვენიერ საღამოზე წარგზავნილ იქნა ანსამბლი „ოდილა".

იზა ვეფხვაძის სწორუპოვარი უნარით ნაქანდაკებ სიტყვის ჩუქურთმას მომაჯადოებელი ძალით შეერწყა: სოსო ავალიშვილის, იუზა ბერაძის, დიმიტრი (დუტუ) გიორგაძის, ომარ კვარაკვახიძის ღვთიური მადლით აჟღერებული ქართული ხალხური სიმღერის მარგალიტები...

ამ უმშვენიერეს საღამოზე დამსწრე საზოგადოებამ გამოხატა დიდი სიყვარული და პატივისცემა ქალბატონი იზას მიმართ, მიულოცა საიუბილეო თარიღი - დაბადების 50 წელი.

„-სულაც არ მიკვირს, განაგრძობს ლამზირა ჩხეიძე, რომ იზა შინაგანად ითავსებს ასეთ მშვენიერებას მას ხომ ურთიერთობის 20 წელი აკავშირებს ანსამბლ „ოდილასთან" და იმ წუთებში ყველა ჩვენგანი ხედავდა, რომ იზა ვეფხვაძე სიტყვით, „ოდილა" კი საოცარი მელოდიებით ერთ მთლიან ღვთიურ საგალობელს აღავლენდნენ..."

ცისანა ქოჩეჩაშვილი - თბილისის მერიის მთავრი ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონი „საგულისონის" ხელმძღვანელი:

„ჩვენი მუშაობის მთავარი პრიორიტეტია, რომ სრულყოფილად ვიცნობდეთ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას. ამას ემსახურება პროექტიც „მუზეუმების კვალდაკვალ". ხალხური სიმღერებისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში მოწყობილი ეს უმშვენიერესი საღამო ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმაა.

მეამაყება, რომ ამ მართლაც სასწაულებრივ ანსამბლ „ოდილაზე" შექმნილი წიგნის პრეზენტაცია სწორედ მუზეუმის კედლებში ხდება. „ოდილას" სტუმრობამ სხვა ხიბლი და დატვირთვა მისცა ამ საღამოს.

იზა ვეფხვაძის დიდი შემოქმედებითი სამყარო, რომ სინაზის, სილამაზის, სიკეთის ნამდვილი ოაზისია, ეს სრული ჭეშმარიტებაა.

ბედნიერად მივიჩნევ თავს, რომ ვარ ერთ-ერთი ხელშემწყობი იმ დიდი იდეისა, როცა ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი იზა ვეფხვაძე დგამდა პირველ ნაბიჯებს იმ ლიტერატურული თეატრის ჩამოსაყალიბებლად, რომელსაც დღეს სრულიად საქართველო იცნობს. ეს რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრია.

ვესაუბრე და მადლობა გადავუხადე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ კობა ლურსმანაშვილს, რომელმაც უზრუნველყო „ოდილელების" კომფორტული მგზავრობა და რომელიც ზრუნვას არ აკლებს ლიტერატურულ თეატრს."

ანზორ ბაბუხადია - საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, გაზეთი „თანადგომის" გამომცემელი, ჩოხოსან რაინდთა დასის წევრი.

„ეს იყო ქართული გენისა და ნიჭის დემონსტრირება. ამ მომაჯადოებელმა ანსამბლმა საოცარი სიმღერებით თქვა უმშვენიერესი იმერეთის სათქმელი. ამ წუთებში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა იზა ვეფხვაძის ნიჭმა. მახარებს, როცა ვუსმენ მის მიერ საოცარი დეკლამაციით წაკითხულ რეზო თაბუკაშვილის ანდერძს. ეს სიამოვნება არც ამჯერად ამცდა.

ბედნიერი ვარ, რომ პირადად ვიცნობ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს. მას რამდენჯერმე შევხვდი და დავრწმუნდი, თუ რა დიდი ეროვნული სულისკვეთების მქონე პიროვნებაა. კარგად იცის ხელოვნების ფასი და ამიტომ უშურველად დგას ამ სფეროსთვის თავდადებულ ადამიანთა გვერდით."

დავით შემოქმედელი - რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე:

„ქართული სულის სიდიადე სრულყოფილად ქართულ ხალხურ სიმღერაში გამოვლინდა. მისასალმებელია ყველა იმ ფოლკლორული ანსამბლის მოღვაწეობა, რომელიც ამ დიდ საქმეს ემსახურება. განსაკუთრებული სიყვარულით აღვნიშნავ ანსამბლ „ოდილას" შესახებ, რომელიც თავისი უზადო ხელოვნებით აგრძელებს ხალხური სიმღერის დიდ ტრადიციებს. მინდა, ამ დიდებულ ადამიანებს, ქართული კულტურის უანგარო მსახურებს, მზეგრძელობა, დღეგრძელობა და შემოქმედებითი წინსვლა ვუსურვო.

მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო გულანთებული პატრიოტის, ქართული კულტურის მსახურის, ხელოვანისა და მოღვაწის ქალბატონ იზა ვეფხვაძის შესახებ, რომელიც თავისი ულამაზესი კუთხიდან დაუღალავად იღვწის სრულიად საქართველოსათვის. ასეთი ადამიანების მხრებზე იდგა მუდამ ქართული კულტურა და მისი მომავალი. ვუსურვებ, ჩვეული ენერგიით ეღვაწოს თავისი სამშობლოს სასიკეთოდ და სადიდებლად.

ხარაგაული ერთი ლამაზი ყვავილია საქართველოში და ძალზე მიხარია, რომ ამ უმშვენიერეს ყვავილს მზის ენერგიას უხვად აწვდის ისეთი უნარიანი თავკაცი, როგორიც გამგებელი კობა ლურსმანაშვილია. დიდი მადლობა ბატონ კობას!"

რაოდენ შთამბეჭდავი და ყოვლისმომცველი იყო საღამოს დასასრულს პოეტ მზია ხეთაგურის ნატვრა: „-ნეტავ ორატორობის პრემია დაარსდეს; ამ ჯილდოს ხომ უდავოდ პირველი იზა ვეფხვაძე მიიღებს!"

ინებოს უფალმა!

მერი გიორგიძე

„ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲕᲘᲗᲕᲚᲘᲗ ᲥᲠᲝᲛᲝᲡᲝᲛᲔᲑᲡ"

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრიც შეუერთდა. ღონისძიებაზე ხარაგაულის საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ გადაღებული ვიდეორგოლები სახელწოდებით: „ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს" იქნა ნაჩვენები. იდეის ავტორი ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი, ნათია კაციტაძე, გახლდათ.

ვიდეორგოლებში ასახული იყო საზოგადოების დამოკიდებულება დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების მიმართ. რა პრობლემებს აწყდებიან ასეთი ადამიანები ყოველდღიურობაში და როგორ ხედავს ამ პრობლემების გადაჭრის გზებს მომავალი თაობა. ღონისძიებაში აქტიურად იყო ჩართული კიცხის, ბორის, ლეღვნის, მოლითის, ბაზალეთის, ხევის, ვარძიისა და დაბის N2 და N3 საჯარო სკოლები.

„დღევანდელი დღის მიზანია, საზოგადოებამ უფრო მეტი შეიტყოს დაუნის სინდრომის შესახებ, - განმარტავს ჩვენთან საუბარში ნათია კაციტაძე, და აქვე დასძენს, რომ დაუნის სინდრომი ეს არის მდგომარეობა და არა დაავადება. „ამ მდგომარეობის მქონე ბავშვებს მეტი სითბო, სიყვარული და ყურადღება სჭირდებათ. იმისათვის, რომ ასეთ ბავშვებს დავეხმაროთ უნდა მოვახდინოთ საზოგადოების ინფორმირება. სწორედ აქედან გაჩნდა დღევანდელი ღონისძიების იდეა."

2011 წლის 10 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 21 მარტი ოფიციალურად დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. ამ საერთაშორისო აქციის მიზანი საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებაა. პირველად "დაუნის სინდრომის" დამახასიათებელი ნიშნები, ექიმმა ჯონ დაუნმა აღწერა. სწორედ მის სახელს უკავშირდება ეს სიტყვა. სტატისტიკის მიხედვით საქართველოში 700-800 ახალშობილიდან ერთი დაუნის სინდრომით იბადება. უნდა აღინიშნოს, რომ დაუნის სინდრომი არ არის გადამდები და იგი არც მემკვიდრეობით გადაეცემა.

„დაუნის სინდრომის მატარებელი ადამიანები არიან ისეთივე სრულფასოვანი წევრები საზოგადოებისა, როგორიც თითოეული ჩვენგანი. ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელი დღით. დიდ მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ღონისძიებაში იყო ჩართული." - აღნიშნა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ.

ღონისძიებას ესწრებოდა პედიატრი, ქალბატონი მანანა ტაბატაძე. მან მადლობა გადაუხადა ბავშვებს ღონისძიებისგან მიღებული დადებითი ემოციებისთვის. „ მჯერა, რომ აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ახალგაზრდები საზოგადოებაში ღირსეულად გაავრცელებენ. მისასალმებელია, რომ მომავალი თაობა ფიქრობს, უფრთხილდება და ასეთი დიდი გრძნობით წარმოაჩენს ამ თემას."

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსმა, ნანა კიკნაძემ, გამგებლის მოადგილემ, თემურ ჩხეიძემ და გამგებლის წარმომადგენელმა კიცხის ადმინისტრაციული ერთეულში, გია ჩხიკვაძემ დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდები მოინახულეს და საჩუქრები გადასცეს. გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურიდან მიღებული ინფორმაციით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სულ 7 დაუნის სინდრომის მქონე ადამიანია, რომლებსაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან პირად ანგარიშზე 100—100 ლარი ჩაერიცხებათ.

მარიანა ბურჯალიანი

ᲑᲝᲠᲘᲗᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲣᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲥᲝᲠᲘᲢᲐᲠᲛᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲛᲐ ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲑᲐᲠᲑᲐᲥᲐᲫᲔᲛ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲣᲚᲝᲪᲐ

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ქალბატონებისათვის ბორითის კულტურის სახლში მოეწყო ღონისძიება სახელწოდებით -„ყველა სიკეთის წყაროა დედა". ღონისძიების ორგანიზატორები ბორითის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი, ქალბატონი მანანა ბარბაქაძე, მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში ვლადიმერ ბარბაქაძე, უფროსი სპეციალისტი ხათუნა ჯობაძე და კულტურის სახლის მენეჯერი გიორგი ნიქარიშვილი იყვნენ. დამსწრე საზოგადოების წინაშე, ბორითის კულტურის სახლთან არსებულმა ქართული ხალხური ცეკვის სტუდიამ (ქორეოგრაფი ალეკო ტაბატაძე) და ხალხური სიმღერის შემსწავლელი წრის (ხელმძღვანელი მაკა კოდუა) მოსწავლეებმა უმშვენიერესი ქორეოგრაფიული ნომრებითა და საოცარი სინაზით აჟღერებული მელოდიებით მოხიბლეს დამსწრე საზოგადოება.

მოწვეულ სტუმრებს მიესალმა და ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ. 70-80 წლის ასაკის მანდილოსნებს კი სიმბოლურად ფასიანი საჩუქრები გადასცა. საღამოს ასევე ესწრებოდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი და გამგებლის პირველი მოადგილე პაატა გოგოლაძე, რომლებმაც ხაზი გაუსვეს იმ უმშვენიერეს მისიას, რომელიც ქალბატონებს აკისრიათ ქვეყნის ძლიერებასა და წინსვლაში, უსურვეს მათ დღეგრძელი სიცოცხლე და შინაარსიანი სამომავლო გზა.

ამ სასიამოვნო წუთების განცდა დიდხანს გაჰყვება ბორითის თემში მცხოვრებ ქალბატონებს.

ქეთინო ბერაძე
ბორითის ბიბლიოთეკის თანამშრომელი.

სოფელ ᲕᲐᲠᲫᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲨᲘ ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲖᲔᲘᲛᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ

15 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარძიის საბავშვო ბაღში (გამგე იზოლდა ხიჯაკაძე), საგაზაფხულო ზეიმი ჩატარდა. აღსაზრდელებმა სიმღერებით, ლექსებითა და ულამაზესი საცეკვაო ნომრებით დედებსა და ქალბატონებს უმშვენიერესი გაზაფხულის დღესასწაული მიულოცეს. ღონისძიებას ვარძიის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი, მზექალა გლუნჩაძე და ამავე თემის მაჟორიტარი დეპუტატი, გივი ხიჯაკაძე ესწრებოდნენ.

შენს „ცაშეკრულას“ უჩვეულო სხივნათელი შეემატება! (ალიკო გიორგიძის ხსოვნას)

ჩემო უსაყვარლესო ალიკო ბაბუ!

ერთი წელია, შენი ომახიანი ხმა აღარ ისმის შენს სათაყვანებელ სოფელ თეთრაწყაროში, თანასოფლელთა გულებს ვეღარ ათბობს შენი შეუდარებელი იუმორი, ყველას დააკლდა ჭირსა და ლხინში შენი თანადგომა...

როგორ მომიხაროდა ჩემი თეთრაწყაროსაკენ. იქ მუდამ უჩვეულო სითბო - სიყვარული მხვდებოდა. იქ შენ მხვდებოდი, ჩემო ალიკო ბაბუ, ჩემი რომანა ბაბუ და ნათელა ბებო მხვდებოდნენ... თქვენს მოგონებაზე სუნთქვა მეკვრება, გული მეკუმშება...

ალიკო ბაბუ!

ვიცი, რომ ზეციური საქართველოდან გადმოჰყურებ შენს საფიცარ თეთრაწყაროს, ლოცავ ელზა ბებოს, შენს პაკოსა და ეკას, ნათიასა და სოსოს, მეზობლებს, ახლობლებს...

მჯერა, უკვე შეიტყობდი, რომ შენი „ცაშეკრულას“ ცა „გაიხსნა“. მალე ეს ულამაზესი კანიონი სრულიად საქართველოს კუთვნილება გახდება. ვიხსენებ იმ ბედნიერ წუთებს, როცა დიდი ინტერესით დამათვალიერებინე თეთრაწყაროს ეს ნამდვილი საოცრება. ხალხში გავრცელებული გადმოცემაც მიამბე „ცაშეკრულას“ შესახებ. სწორედ ამ შთაგონებით დავამუშავე მოსწავლეთა 70-ე სასწავლო - შემოქმედებითი კონფერენციის გეოგრაფიის სექციისათვის თემა „თეთრაწყარო და „ცაშეკრულას“ კანიონი“. ის შენს ხსოვნას მივუძღვენი, ჩემო ბაბუ!

... და როცა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით ტურიზმის, სპორტული შეჯიბრებებისა და დასვენების ერთ-ერთ თვალსაჩინო კერად იქცევა ეს ზღაპრული სივრცე, ხშირად ვეწვევი, ცრემლიანი თვალებს მივაპყრობ და დანანებით ვიტყვი: „ნეტავ ხედავდე, შენს „ცაშეკრულას“ რა სხივნათელი შეემატა, ჩემო ალიკო ბაბუ!

ამანდა ხვედელიძე

„დარისპანის გასაჭირმა“ სცენიდან ეკრანზე გადაინაცვლა

„დარისპანის გასაჭირმა“ სცენიდან ეკრანზე გადაინაცვლა. სამოყვარულო დონეზე გადაღებულ ფილმში „ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის“ მსახიობები თამაშობენ. ფილმის რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელი ირინე ჩხეიძე გახლავთ, ხოლო ოპერატორი - ლაშა ნიქაბაძე.

„დარისპანის გასაჭირი“ პირველად ხარაგაულში 1990 წელს დაიდგა. სპექტაკლის რეჟისორი დიმიტრი ბოგვერაძე (მეუფე დოსითეოზი) გახლდათ. 25 წლის შემდეგ, ირინე ჩხეიძის რეჟისორობით, სპექტაკლი ხარაგაულის თეატრის რეპერტუარში კვლავ დაბრუნდა.

სპექტაკლის ვიდეო ვერსია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ სხლითში მდინარაძეების ოჯახში გადაიღეს.

ფილმის პრემიერა ხარაგაულის კინოთეატრში შედგა. პრემიერის დასასრულს რეჟისორმა ირინე ჩხეიძემ დაუღალავი შრომისთვის და უანგაროდ გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა ფილმის ოპერატორს ლაშა ნიქაბაძეს, ოლეგი, ცისლალი და ცირა მდინარაძეების ოჯახს, რომელმაც მსახიობთა დასს არჩვეულებრივად უმასპინძლა და მუშაობისთვის შესაფერისი გარემო შეუქმნა.

ქალბატონი ირინე ჩხეიძის ინფორმაციით, ფილმის DVD ვერსია ხარაგაულის ყველა სკოლას საჩუქრად გადაეცემა.

ირინე ჩხეიძე: „ჩვენ დავიწყეთ ახალი პროექტი „თეატრი სკოლისთვის“. ბავშვებს საშუალება ექნებათ, ჩვენი დასის შესრულებით ადგილზე იხილონ სპექტაკლი „დარსიპანის გასაჭირი“. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია, მოსწავლეებმა სპექტაკლზე მუშაობის პროცესი ნახონ. ახალგაზრდები ასევე დაესწრებიან თოჯინების თეატრის რეპეტიციებს. ისწავლიან, როგორ ხდება გახმოვანება, გრიმის გაკეთება, როლის მორგება, როგორია ცხოვრება კულისებში.“

პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს ლექციების კურსს „ჩემი თეატრის ისტორია“. ლექციებს წაიკითხავს რეჟიროსი ირინე ჩხეიძე. პირველი შეხვედრა მოსწავლეებთან N2 საჯარო სკოლაში მარტის ბოლოს გაიმართება.

თამარ მაღრაძე

მეოხე მსოფლიო ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული ბაზალეთელი პეტრე თხელიძის კვალი ნაპოვნია

ბაზალეთელ 102 წლის ქეთო თხელიძეს არ ახსოვს, რამდენი წლის იყო მისი ძმა, როდესაც იგი მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს. ახსოვს მხოლოდ ის, რომ პეტრე თხელიძის წერილი ფრონტის ხაზიდან ორჯერ მოვიდა. მას შემდეგ კი მისი კვალი საერთოდ გაქრა.

„ომი რომ დამთავრდა, დიდხანს ველოდებოდით ჩემს ძმას. რომ აღარ გამოჩნდა, ვეძებდით, მაგრამ უშედეგოდ. პეტრეს ჰყავდა მეუღლე, რომელიც მოგვიანებით გათხოვდა კიდეც. ძალიან ჯავრობდა დედა, ის 1979 წელს დაიღუპა. სიცოცხლის ბოლომდე ელოდებოდა პეტრეს.“ - გვიყვება ქეთო ბებო.

ჰოლანდიაში, ქალაქ ამერსფორტში, „საბჭოთა ჯარისკაცების სასაფლაოზე“, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული 865 საბჭოთა ჯარისკაცი განისვენებს. სწორედ მათ შორისაა უგზოუკვლოდ დაკარგული პეტრე თხელიძის საფლავი.

ჰოლანდიელი ჟურნალისტი, რენკო რეიდინგი, უკვე რამდენიმე წელია ჰოლანდიაში „საბჭოთა დიდების ველზე“ დასაფლავებული ჯარისკაცების ნათესავებს ეძებს. სწორედ ამ მისიით ჩამოვიდა იგი ბაზალეთშიც.

„18 წელია ვეძებ „საბჭოთა დიდების ველზე“ დასაფლავებულ ჯარისკაცთა ნათესავებს.

21 ნლის ვიყავი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ჩვენს ქალაქში ჯარისკაცების სასაფლაო იყო. ამის შესახებ მანამდე ინფორმაცია არ მქონდა. ეს არის „საბჭოთა დიდების ველი“, სადაც მეორე მსოფლიო ომში დაღუპული 865 ჯარისკაცია დასაფლავებული. ისინი ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი მეომრები არიან. მქონდა ინფორმაცია, რომ იქ დასაფლავებული ადამიანების ნათესავები არავის მოუძებნია. დავისახე მიზანი, რომ დიდების ველზე დასაფლავებული ჯარისკაცებისთვის სახელები დამებრუნებინა და ამით მათი ისტორია გამეცოცხლებინა. დღეისთვის ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში 200 ჯარისკაცის ნათესავია აღმოჩენილი. რამდენიმე ოჯახი ვიპოვეთ საქართველოშიც. ძალიან გვეხმარებიან ქართველები ამ საქმეში და ამ უკანასასკნელ პერიოდში საქართველოში კიდევ 7 ოჯახი აღმოვაჩინეთ. მომავალში იგეგმება ხსოვნის წიგნის გაკეთება მეორე მსოფლიო ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომრებზე, რომელსაც ევროპის მოსახლეობა გაეცნობა.

დღეს პეტრე თხელიძის გვამის იდენტიფიკაციის მიზნით ქეთო თხელიძისგან დნმ ანალიზი ავიღეთ. ანალიზის მიხედვით მოხდება დასაფლავებულის ექსგუმაცია და პიროვნების დადგენა. პასუხის მოლოდინში შეიძლება 2 წელიც გავიდეს, რადგან ბევრი ბიუროკრატიული საკითხია გასავლელი. ჩვენი საბოლოო მიზანია საბჭოთა ჯარისკაცების საფლავებზე დაიდგას ქვა, რომელზედაც დაფიქსირდება ჯარისკაცის სახელი და გვარი და დამაგრდება ფოტოსურათი“ - გვეუბნება რენკო რეიდინგი.

ქეთევან თხელიძეზე დაკარგული ძმის შესახებ ინფორმაციის არსებობამ ამაღელვებლად იმოქმედა.

„ძალიან გაეხარდა, ატირდა, სურვილი გაუჩნდა, ჩავიდეს ძმის საფლავზე, თუმცა ეს მის ასაკში შეუძლებელია და ალბათ, მხოლოდ ოცნებად დარჩება“ - გვიყვება ქეთო თხელიძის თანასოფლელი თამარ კამკამიძე.

102 წლის ქეთევან თხელიძეს დიდ ყურადღებას აქცევს სოფელი, ლალი კვინცხაძის ოჯახი, ასევე პატრონობენ ნათესავები, ბიძაშვილიშვილები. თავად ქეთო ბებო მადლობას უხდის ყველას, განსაკუთრებით კი, ბაზალეთის მაჟორიტარ დეპუტატს ვარლამ ჭიპაშვილს, რომელიც მზრუნველობას არ აკლებს მას.

ხარაგაულელი სპორტსმენების მორიგი წარმატება

12-13 მარტს ქალაქ თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კუნგ-ფუ სამბოში, სადაც ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის კარატისტებმა (მწვრთნელი ზვიად კურტანიძე) მიიღეს მონაწილეობა.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი გაგა გელაშვილიმა და ნინო ცხოვრებაძემ დაიკავეს. მეორე ადგილზე კი, გიორგი იოსებაშვილი, გიორგი გოგოლაძე, მელანო ჭიპაშვილი და სოფო ჭანკოტაძე გავიდნენ. რაც შეეხება მესამე ადგილს, მას დავით სხილაძე და არჩილ იოსებაშვილი დაეუფლნენ.

დაურეგისტრირებელი სახერხი საამქროს მფლობელები დაჯარიმდებიან

11 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე ბესარიონ აბაშიძე ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის ცენტრალური სამმართველოს უფროს ლაშა ხარაბაძესთან და იმერეთის სატყეო სამსახურის უფროს მამუკა ცინცაძესთან ერთად ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და დაინტერესებული პირებიც ესწრებოდნენ.

მოსახლეობის მხრიდან ძირითადად ორ მოთხოვნაზე იყო საუბარი: ისინი სამასალე ხე-ტყით სარგებლობის უფლებას და გარემოს დაცვის სამინისტროს ზედამხედველობის სამსახურისგან ჯარიმების გადახედვას ითხოვდნენ.

შეხვედრაზე ბორითის მაჟორიტარმა დეპუტატმა, მანანა ბარბაქაძემ, ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულის მცხოვრები, ხე-ტყის უკანონო ჭრის შედეგად დაჯარიმებული, მოსახლეობის პრობლემებზე ისაუბრა. დეპუტატის განმარტებით, მართალია კანონს ყველა უნდა ემორჩილებოდეს, მაგრამ კერძო მფლობელობაში არსებული ხე-ტყის ჭრისთვის არავის აქვს უფლება, დააჯარიმოს მოქალაქე, თუ, რა თქმა უნდა, მათ სათანადო საბუთი არ გააჩნიათ.

სამასალე ხე-ტყის მიუწვდომლობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ისაუბრა ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა: „ხარაგაულის მოსახლეობას კარგად ახსოვს ის პერიოდი, როდესაც ხე-ტყის მოპოვებასთან დაკავშირებით სრული განუკითხობა იყო, რა თქმა უნდა, ეს მათ, არ მოსწონდათ. დღეს კი ხელმისაწვდომობა საერთოდ აღარ აქვთ. ტყეკაფები მოხმარებისთვის ისეთ ადგილზეა გამოყოფილი, სადაც მისვლა შეუძლებელია. ოჯახებს, რომლებსაც აქვთ სახერხი დანადგარები და წლებია არ ამუშავებენ - აჯარიმებენ. ასევე უნდა არსებობდეს სოციალური ჭრები იმისთვის, რომ მოსახლემ შეძლოს საკუთარი საჭიროებისთვის მაინც გამოიყენოს მასალა.“ - განაცხადა შეხვედრაზე ვარლამ ჭიპაშვილმა.

ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის ცენტრალური სამმართველოს უფროსმა, ლაშა ხარაბაძემ, ის მნიშვნელოვანი საკითხები განმარტა, რომელზეც მოსახლეობას არასწორი ინფორმაცია აქვს: „ 2013 წლის 20 თებერვლიდან, მიუხედავად იმისა, მოქმედია სახერხი საამქრო თუ არა, სავალდებულო გახდა მისი ელექტრონული რეგისტრაცია. შესაბამისად, მოქალაქე, რომელსაც სახერხი საამქრო დარეგისტრირებული არ აქვს, აუცილებლად დაჯარიმდება, რადგან ეს კანონდარღვევაა. ასევე აკრძალულია არამარკირებული, უფირნიშო ხე-ტყის ტრანსპორტირება და სახერხ საამქროში შეტანა-გადამუშავება. რომ ამბობთ, „წლებია არ ამუშავებენ სახერხ საამქროს და მაინც ჯარიმდებიან“ - აქვე განვმარტავ: ჯარიმდება ყველა დაურეგისტრირებელი მუშა მდგომარეობაში მყოფი მოქმედი ხერხი. მოქმედია სახერხი დანადგარი , რომლის უძრავი ან/და მოძრავი ნაწილები დამონტაჟებულია და დანადგარს მიეწოდება ელექტროენერგია. მუშა მდგომარეობად ითვლება ის შემთხვევაც, როცა ხერხის ლიანდაგები იმყოფება გამართულ მდგომარეობაში. რაც შეეხება ხერხის რეგისტრაციას, ყველა ლენტური სახერხი ექვემდებარება რეგისტრაციას. ცირკული სახერხი კი უნდა დარეგისტრირდეს იმ შემთხვევაში, თუ კბილის ზომა დაფიდან 15 სანტიმეტრი და მეტია. იმ შემთხვევაში, თუ სახერხი საამქროს მფლობელს სურს, სახერხი საამქროს რეგისტრაცია განახორციელოს სააგენტოს მეშვეობით, განცხადებით უნდა მიმართოს სააგენტოს სახერხი საამქროს ადგილმდებარეობის მიხედვით. განცხადების წარდგენის შემდეგ უფლებამოსილი პირი ახდენს სახერხი საამქროს დარეგისტრირებას.

რაც შეეხება ტრანსპორტირებაზე ჯარიმებს, იმ შემთხვევაში, როცა მასალა მოჭრილი არის ტყის ფონდში, მოქალაქე დაჯარიმდება ათასი ლარით. კერძო საკუთრებაში და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოჭრილი ხის შემთხვევაში კი - 500 ლარით.“

გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილის, ბესარიონ აბაშიძის, ინფორმაციით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სატყეო სააგენტო, დაახლოებით ერთ თვეში, გამოაცხადებს ტენდერს მორის დასამზადებლად. „პირველ ეტაპზე მოლითის სატყეო უბანზე გამოცხადდება ტენდერი. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია როგორც კოოპერატივს, ასევე ფიზიკურ პირს. ეს ასევე კარგი საშუალება იქნება ანაზღაურება მიიღოს იმან, ვინც ფიზიკურად შრომობს, ხოლო მცირე საწარმოებს მიეცემათ შანსი, მონაწილეობა მიიღონ აუქციონში და რესურსი ადგილზევე შეისყიდონ.“

მარიანა ბურჯალიანი

„მხიარულ სტარტებში“ დაბის N2 საჯარო სკოლის გუნდმა გაიმარჯვა

18 მარტს, ა(ა) იპ „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრში“ პროექტ „მხიარული სტარტების“ ფინალური ტური გაიმართა. ერთმანეთს ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია და N2 საჯარო სკოლა შეხვდა. გამარჯვება N2 საჯარო სკოლამ მოიპოვა. N2 საჯარო სკოლამ 88, ხოლო სასულიერო გიმნაზიამ -71 აიღო. შეგახსენებთ, რომ პროგრამა „მხიარული სტარტები“ მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროექტის ორგანიზატორი სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო გახლავთ, რომელიც ადგილობრივ დონეზე ხარაგაულის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა ჩაატარა.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1500 ცალი
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12